თიბისი ბანკი

# ლისის სათავო ოფისში რესტორნის მოწყობა-ფუნქციონირება

## ინტერესთა გამოხატვა (ბაზრის კვლევა)



სს “თიბისი ბანკი” გიწვევთ  განმეორებით ღია ელექტრონულ ბაზრის კვლევაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ ინტერესთა გამოხატვის მიზნით წარმოადგინოთ წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით. გამარჯვებულის შერჩევა განხრციელდება კონკურსის საფუძველზე.

## I. მონაწილეობის წესები

**წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 14.07.2025წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.**

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
ირაკლი გუჩუა  577 922 890  iguchua@tbcbank.ge
კონსტანტინე ბურდილაძე  599 223 900  koburdiladze@tbcbank.com.ge

**დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან  დაკავშირებით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.com.ge

- ელექტრონული პროცედურის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს პროცედურა, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

დეტალური ინფორმცია გამოყოფილი ფართის შესახებ და ნახაზები დაინტერესებულ პირს გადაეცემა თანდართული **კონფიდენციალობის დაცვის შესახებ შეთანხმების (NDA)** ხელმოწერილი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

დასკანერებული ვერსია გადმოაგზავნეთ ელ. ფოსტაზე: Vkituashvili@Tbcbank.com.ge

დედანი დოკუმენტი გამოაგზავნეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ატენის ქ. N2, კანცელარია.

## II. შესყიდვის ობიექტი

<u>რესტორნის  სივრცის მოწყობა:</u>

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დამკვეთის რესტორნის სივრცეების მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების მიხედვით:

- დაგეგმარება - მოიცავს როგორც სამზარეულოს საოპერაციო-საწარმოო სივრცეების ასევე რესტორნის ფართის გეგმარების წარმოდგენას და დამკვეთთან შეთანხმებას
- სერვისის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, გეგმარებიდან გამომდინარე - ყველა შესაბამისი/საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის, ინვენტარის, ნივთის, დანადგარის და ა.შ იდენტიფიცირება, ასევე მათი ტექნიკური პარამეტრების და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების დამკვეთისთვის იმდაგვარად მიწოდება რომ შესაძლებელი იყოს შემდგომი შესყიდვების პროცესის წარმართვა
- ყველა ზევით ხსენებული ინვენტარის შესყიდვების პროცესში ჩართულობა, რაც მოიცავს შემოთავაზებების ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას

დამკვეთის მიერ ტექნიკის შესყიდვის შემდეგ, უზრუნველყოს ამ ინვენტარით ობიექტის აღჭურვა, მათი ტესტირება, სისტემაში ინტეგრირება და ყველა ის სამუშაო რაც საჭიროა ობიექტის გამართულად ფუნქციონირებისათვის

<u>რესტორნის ფუნქციონირება:</u>

შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს რესტორნის სერვისების დაგეგმვა/მიწოდება/ფუნქციონირება -  აღნიშნული მოიცავს მათ შორის:

- კვებითი მენიუების შესაბამის დაგეგმვას;
- მრავალფეროვანი ასორტიმენტის შერჩევას;
- მენიუს პერიოდულ ცვლილებას;
- მომსახურების მაღალი ხარისხი;

**საკონკურსო პირობები:**

- ყოველდღიური რაციონის მრავალფეროვნება (დამკვეთთან შეთანხმებით)
- მენიუს განახლების სიხშირე
- საკვების ღირებულება
- სერვირების და გარემოს მოწყობის ხარისხი;
- სხვა ბენეფიტები და უპირატესობები რომელიც გააუმჯობესებს დამკვეთის და კლიენტების მიერ მისაღებ სერვისს.
- რესტორანმა მომსახურება უნდა გაუწიოს დამკვეთის სათაო ოფისს, მდებარე ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის 12, ყოველ სამუშაო დღეს 10:00- დან 22:00 საათამდე; (დრო შესაძლოა დაკორექტირდეს)
- შაბათ/კვირას და დასვეების დღესთან დაკავშირებით შესაძლებელია დამკვეთთან შეთანხმებით გარკვეული სპეციალური ფორმატის შემუშავება

<u>დამკვეთის ვალდებულება:</u>

- დამკვეთი ვალდებულია შეთანხმებული ტექ. აღჭურვილობის შეძენაზე და მათ შემსრულებელზე გადაცემაზე
- ხელი შეუწყოს შემსრულებელს მისი ვალდებულების შესრულებაში
- განახორციელოს შესაბამისი რემონტი რომ ფართი მზად იყოს ტექნიკის / ავეჯის საინსტალაციოდ

<u>შემსრულებლის ვალდებულება</u>:

- კომპანია პასუხისმგებელია საიჯარო ქონების და ტექნიკური აღჭურვილობის მოვლა პატრონობაზე, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის წესის დაცვაზე;
- კომპანია ვალდებულია მოამზადოს შესაბამისი პროექტი რომელიც საჭიროა რესტორნის გამართვა / ფუნქციონირებისთვის;
- კომპანია გადაიხდის ფიქსირებულ ყოველთვიური იჯარის საფასურს:
- კომპანია გადაიხდის ყოველთვიური ელ ენერგიის მოხმარების, დასუფთავების და მოხმარებული წყლის საფასურს, შესაბამისი მრიცხველების ჩვენებების შესაბამისად, ასევე ყველა იმ გადასახადსა თუ ხარჯს, რომელიც აუცილებელია სახელშეკრულებო პირობების შესასრულებლად;
- კომპანია ვალდებული იქნება მოახდინოს სამზარეულოს და სასადილო სივრცეების დასუფთავება;
- ყველა იმ საოპერაციო წვრილი ინვენტარის შესყიდვაზე რომელიც საჭიროა სამზარეულოს ოპერირებისთვის - ჭიქა, თეფში, ტაფა , ქვაბი და ა.შ
- შემსრულებელმა მუდმივ რეჟიმში უნდა განახორციელოს საკვები ობიექტში არსებული ნედლეულისა და საკვების ხარისხის კონტროლი.

<u>სხვა პირობები:</u>

- ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება სანქციები სახელშეკრულებო ვალდებულებების თითოეული დარღვევისათვის, მათ შორის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფასების თვითნებური ცვლილების, არაჰიგიენური მომსახურების, პროდუქციის ხარისხის გაუარესების, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის და სხვა მსგავსი დარღვევების გამოვლენისათვის;
- ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბანკის მიერ შეიქმნება მუდმივმოქმედი ხარისხის კონტროლის კომისია და პერიოდულად მოხდება სამზარეულოს არაგეგმიური/გეგმიური შემოწმება(ები), რომლის განხორციელების ხელშეწყობაზე კომპანია იქნება ვალდებული.

## III. ბაზრის კვლევის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები **(თავისუფალი ფორმით)**;
- ინფორმაცია მიმდინარე რეჟიმში ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ - მასშტაბი, სარეკომენდაციო წერილი.
- სტანდარტული მენიუს განფასება მოცემული მომენტისათვის **(თავისუფალი ფორმით)**;